დავით მერკვილაძე
ისტორიის დოქტორი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ისტორიის ჯგუფის სპეციალისტი

იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების საკითხი (1783 წლის აპრილი-სექტემბერი)

მფარველობის საკითხი ყირიმის ანექსიის შემდეგ და პოდპოლკოვნიკ ვასილ ტომარას მისია იმერეთში. 1783 წლის 8 აპრილს ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა ყირიმის სახანოს გაუქმებისა და მისი მიწაწყლის რუსეთთან მიერთების საგანგებო მანიფესტს. ყირიმი, ტამანის ნახევრაკუნძული და ყუბანის მხარე რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოცხადდა. ცოტა ხანში ყირიმის ხანი შაჰინ-გირეიც ტახტიდან „ნებაყოფლობით" გადადგა და ყირიმის სახანომ არსებობა სამუდამოდ დაასრულა. ამიერიდან რუსეთის მთავარი მიზანი ახალმიტაცებული ტერიტორიების უომრად შენარჩუნება იყო. საომარი სამზადისის დაწყება ოსმალეთში შეინიშნებოდა. თუმცა ჯერ კიდევ უცნობი იყო, რამდენად გაბედავდა მომხდარის შედეგად დაზაფრული სულთნის ხელისუფლება რუსეთთან ახალი ომის ატეხვას.

ამ ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმის დროისათვის საიმპერატორო კარზე უკვე შემუშავებული და ჩამოყალიბებული იყო ორივე ქართულ სამეფოსთან უახლოეს ხანებში პოლიტიკური ურთიერთობის განმსაზღვრელი ძირითადი მიმართულებებიც: ერეკლე II ეკატერინე II-ის ქვეშევრდომობა-მფარველობაში უნდა მიღებულიყო, ამავე სტატუსით სოლომონ I-ის მიღება კი გადაიდო იქამდე, სანამ ოსმალთა მხრიდან ზავი ნარჩუნდებოდა, მათი მხრიდან ომის დაწყების დამატებითი საფუძვლის მიცემის თავიდან ასაცილებლად (შეგახსენებთ, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის თანახმად, სოლომონ I-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთმა მთელი დასავლეთ საქართველო სულთნის ქვეშევრდომად აღიარა[1]). ამავდროულად იმერეთის მეფის პოლიტიკურ განწყობებში ანტიოსმალური და პრორუსული მიმართულებების შენარჩუნება და გაძლიერება აუცილებელ მიზნად ისახებოდა [2, 112-114].

ნიშანდობლივია, რომ ეკატერინეს კარის დიდმოხელე, გენერალ-

[1] ამ საკითხის თაობაზე დაწვრილებით იხილეთ [3, 144-150].

ანშეფი გრ. პოტიომკინი საქართველოს საქმეების საკითხზე ორ ორდერს ადგენს და სვლას აძლევს 3 აპრილს, როცა ყირიმის ანექსიის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და დღე-დღეზე იმპერატრიცას ხელმოწერილი შესაბამისი დადგენილებაც უნდა გამოცემულიყო. გრ. პოტიომკინის ერთი ორდერით პეტერბურგი თავის მუდმივ წარმომადგენელ („მინისტრ") პოლკ. ს. ბურნაშევს, შესაბამისი მითითებების დართვით, მიავლენდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების კარზე [12, 1-2]. მეორე და საიდუმლო ორდერით გენერალ-ანშეფი კავკასიის კორპუსის მეთაურს, გენერალ-პორუჩიკ პ. პოტიომკინს დაწვრილებით ამცნობდა უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებას ქართულ სამეფოებთან შემდგომი პოლიტიკური ურთიერთობის თაობაზე და ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმასაც უდგენდა [9, 155].

ორდერის ბოლო, მე-4 პუნქტში, რომელიც ეხება იმერეთის საკითხს, გრ. პოტიომკინი იუწყებოდა, რომ მეფე სოლომონს თავად ამცნობდა მეფე ერეკლეს „უზენაეს მფარველობაში" მიღების გადაწყვეტილების თაობაზე [9, 155][1]. ამ შინაარსის წერილი იმერეთის მეფისათვის გრ. პოტიომკინს უეჭველად ამავე დღეს უნდა გაეგზავნა პოდპოლკოვნიკ ვასილ ტომარას ხელით. ვინაიდან ამავე ოფიცერს გრ. პოტიომკინის დავალებით, ზემოხსენებული ორდერი მიჰქონდა პ. პოტიომკინთან გეორგიევსკში და შემდეგ თბილისში ერეკლესთვის უნდა მიერთმია ტრაქტატის პროექტი. მასვე ევალებოდა ტრაქტატის თაობაზე მეფესთან უშუალოდ მოლაპარაკებების წარმოებაც. ამ ყოველივეს შესრულების შემდეგ კი ვ. ტომარას მისიაში შედიოდა ქუთაისში სოლომონ I-ის მონახულება, მისთვის წერილების გადაცემა და უკან მეფის საპასუხო წერილის წამოღება.

ვ. ტომარამ გრ. პოტიომკინის წერილები 6 მაისს ჩაუტანა კავკასიის ხაზის სარდალს. სამი დღის შემდეგ, 9 მაისს (ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ვ. ტომარას, ეტყობა, გეორგიევსკში სამი დღით შეუსვენია) პ. პოტიომკინი სოლომონს თავის მხრივ წერს, რომ მასთან აგზავნის თავად გრიგოლ პოტიომკინის წერილს, საიდანაც მეფე შეიტყობს, რომ იმპერატორის კეთილი ნებით, ერეკლე მეფე მიიღება საიმპერატორო ტახტის მფარველობაში, რის შედეგადაც მისი ოჯახი და სამეფო დაცული იქნება ყველა ხალხისაგან,

[1] ეს დავალება გრ. პოტიომკინს ეკატერინე II-ისგან ჰქონდა მიღებული [9, 141].

რომლებიც დააპირებენ მის შევიწროებას ან შეურაცხყოფას. შემდეგ გამოთქვამდა *„გულრწფელ სურვილს, რომ გარემოებებს მისი უგანათლებულობისთვისაც (სოლომონისთვის – დ. მ.) გაეხსნა გზა, ესარგებლა იგივე უპირატესობით და ყოფილიყო დაუმარცხებელი და გულუხვი ეკატერინეს მტკიცე ფარის ქვეშ."* იქვე პ. პოტიომკინი იმერეთის მეფეს ატყობინებდა იმპერატორის სურვილს, რომ *„მუდმივ და კეთილ კავშირში ყოფილიყო"* მეფე ერეკლესთან, რის თაობაზეც ასევე აპირებდა, შეეხსენებინა ქართლ-კახეთის მეფისათვისაც. დანარჩენს კი ამ წერილის მომტანი პოდპოლკოვნიკი ტომარა მოგახსენებსო, დასძენდა იგი ბოლოს [9, 157].

მეორე დღესვე, 10 მაისს პავლე პოტიომკინი გრ. პოტიომკინს უპატაკებდა, რომ მას ტომარას ხელით მის მიერ გამოგზავნილი ტრაქტატის პროექტი და წერილები უკვე მიეღო და წინა დღით ქართველი მეფეებისკენაც გაეშვა. პატაკს თან ახლდა ასევე მეფე სოლომონისადმი პ. პოტიომკინის წერილის ასლი [1, 63].

მაგრამ მანამდე სამხრეთისაკენ, ყოფილი ოსმალური სამფლობელოებისაკენ რუსული ექსპანსიონიზმით აფორიაქებული სულთნის ხელისუფლების საომარი სამზადისი იმერეთის მეფისათვის, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 27 აპრილს სოლომონ I ამის თაობაზე ატყობინებს პ. პოტიომკინს: ამ მხარეში ოსმალთა ჯარი გროვდება, ამზადებენ დიდ სამხედრო მარაგებს. მეფე აღნიშნავდა, რომ მისთვის ჯერ უცნობი იყო, რა მიზნით იკრიბებოდნენ ისინი, ან საითკენ აპირებდნენ დაძვრას. ეტყობა, მეფის კარზე ჯერ კიდევ არ მოეღწია ყირიმის ანექსიის „ცხელ-ცხელ" ამბავს. ამიტომაც, მეფე შიშობდა, რომ მისი მტრის გააქტიურება შეიძლებოდა იმერეთში შემოსაჭრელად ყოფილიყო გამიზნული. სოლომონი ითხოვდა, ეს ამბავი სასწრაფოდ ეცნობებინათ გრ. პოტიომკინისათვის, რომელიც ასეთ შემთხვევაში იმპერატორის სახელით მას „ძლიერ მფარველობასა და დაცვას" შეჰპირებია. წერილში მეფეც ამ დანაპირების აღსრულებაზე ამყარებდა იმედს და თან აცხადებდა, რომ კავკასიის კორპუსის რუს სარდალს შემდგომში აუცილებლად მიაწვდიდა მტრის მოქმედებისა და განზრახვის შესახებ დაზვერვით მიღებულ უფრო ზუსტ ცნობებს [9, 156].

როცა მისთვის დაკისრებული საქმე ქართლ-კახეთის მეფის კარზე მოაგვარა, ვ. ტომარა გაემგზავრა იმერეთში. იგი 5 ივნისს ჩავიდა ქუთაისში და მეფეს ჩამოუტანა ორივე პოტიომკინის მიერ მოწერილი წერილები, რომლებიც საიმპერატორო კარის მიერ მისი

მფარველობაში მიღების გადადებას ატყობინებდნენ, თუმცა სიტ-ყვიერ გამხნევებას არ აკლებდნენ. მაგრამ მესამე დღეს სოლომონი ავად გამხდარა, რუსეთიდან წარმოგზავნილი პოდპოლკოვნიკი დროულად ვეღარ მიიღო და რუსი ოფიცერი მხოლოდ 14 ივნისს გა-მოისტუმრა უკან თბილისისაკენ პ. პოტიომკინთან გატანებული ორი წერილითურთ[1].

სოლომონს რუსეთისაგან მფარველობა-დახმარების იმედი გა-ულვივა ტომარას სტუმრობიდან ერთი თვის თავზე, 5 ივლისს მას-თან ს. ბურნაშევის წვევამ. რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომად-გენელმა დაათვალიერა სამეფოს ყველა სტრატეგიული ადგილი და იმერეთში შემომავალი გზები სამხედრო დანიშნულების გეგმების შესადგენად. გახარებულ სოლომონს იმედი მიეცა, რომ რუსეთი ბო-ლოს და ბოლოს სიტყვიდან საქმეზე იწყებდა გადასვლას. მეფე გრ. პოტიომკინისადმი მიწერილ წერილში მის მიმართ უდიდეს მადლიე-რებას გამოხატავდა გამოჩენილი ყურადღებისათვის და *„ყოვლად მოწყალე დიდი ხელმწიფისა და სამშობლოს დედისადმი“* (ანუ ეკა-ტერინე II-ისადმი) ერთგულებას კვლავ ადასტურებდა [9, 185]. იმე-რეთის მეფემ რუსეთის იმპერიის ავტორიტეტის გამოყენებით (იქი-დან „უმაღლესი ბრძანების“ მიღების საშუალებით) დადიანისა და გურიელის სრული დამორჩილების შესაძლებლობაც მოსინჯა. იქნებ საიმპერატორო კარს კეთილი ნება გამოეჩინა და სამეფოს მეტი უსაფრთხოების მიზნით ამ მთავრებისათვის მეფისადმი მორჩილე-ბის ბრძანებაც გაეცა[2].

ს. ბურნაშევს იმერეთის მეფემ ახალი ამბები შეატყობინა: პორ-ტას ფოთის ციხეში **სამთუღიანი**[3] ფაშა გამოუგზავნია ათიათასიანი ჯარისა და დიდძალი მუშახელის თანხლებით. მუშახელის ნახევარი ფოთშივე დარჩენილა ციხის გასამაგრებლად, ხოლო მეორე ნახევა-რი კი ენგურის შესართავთან, ანაკლიაში გადაუგზავნიათ იქ ციხის

---

[1] ამის შესახებ ვ. ტომარა ატყობინებდა პ. პოტიომკინს 24 ივნისს თბილისიდან გაგზავნილი პატაკით. იხ. [9, 179-181].

[2] იხ. სოლომონ I-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი [8, 186]. წერილის რუსული თარგმანი დათარიღებული არაა, ქართული დედნის მი-ხედვით კი ისიც იმავე დღეს, 12 ივლისს უნდა იყოს დაწერილი – „ქ'ს აქეთ ჩლპბ წელსა ივლისსა თორმეტსა“ [9, 186, შენ. c].

[3] ოსმალეთის იმპერიაში თუღის რაოდენობით განისაზღვრებოდა ფაშის რანგი. სამთუღიან ფაშად იწოდებოდა ვეზირის თანამდე-ბობის მქონე ფაშა [5, 78-79].

ასაშენებლად. ეს ამბავი თბილისში დაბრუნებულმა „მინისტრმა“ სხვა საჭირო ცნობებთან ერთად მყისვე რუსეთში აფრინა [8, 188]. ცხადია, სულთნის ხელისუფლების ეს ნაბიჯი იყო რეაქცია ყირიმის ანექსიაზე. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში რუსეთის ფეხის მოკიდების საპასუხოდ პორტა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმყარებდა მდგომარეობას[1]. ოსმალეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმის მოლოდინისას რუსეთშიც შეუდგნენ შესაბამისი თადარიგის დაჭერას: აგვისტოს დასაწყისში გენერალ-ანშეფმა გრ. პოტიომკინმა თავის განკარგულებაში მყოფი ჯარი სასწრაფოდ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა [13, 222; 1, 64].

გეორგიევსკის ტრაქტატი და იმერეთის მფარველობაში მიღების საკითხი. გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში, კავკასიის კორპუსის სარდლის რეზიდენციაში, 1783 წლის 24 ივლისს ერეკლე II-ის უფლებამოსილმა პირებმა – ი. მუხრან-ბატონმა და გ. ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობა-მფარველობაში შესვლის ხელშეკრულებას.

ვ. ტომარას ხელით სოლომონის წერილის მიიღების შემდეგ პ. პოტიომკინი იმერეთის მეფეს მომდევნო წერილით, პირველ რიგში ატყობინებდა, რომ იმპერატრიცამ კეთილი ინება, მეფე ერეკლე და მისი სამეფო *„მიეღო თავის ძლიერ მფარველობაში“*, რაც შესაბამისი ხელმოწერილი ტრაქტატითაც დამტკიცდაო. ამიერიდან *„ქართველთა მეფე მიღებულია სრულიად რუსეთის ვასალად“*, ხოლო *„ქართველთა სამეფო დამოკიდებულია იმპერატორის სკიპტრაზე“*, განაგრძობდა გენერალ-პორუჩიკი და მომავალში სოლომონსაც ერეკლესნაირ მდგომარეობაში ყოფნას უსურვებდა. უმაღლესი ნებაა ასევე, – დასძენდა პ. პოტიომკინი, – ორივე სამეფო იყოს ერთმანეთთან მშვიდობიან და მოკავშირულ მდგომარეობაში, ხოლო მე, როგორც იმპერატორის ხელისუფლების წარმომადგენელი, ვიყო არბიტრი ანუ უმაღლესი მსაჯული თქვენს შორის ურთიერთუთანხმოების შემთხვევაშიო (ასეთი ინსტრუქცია პ. პოტიომკინს უნდა

---

[1] ნაკლებადაა მოსალოდნელი, ეს აქტიურობა დასავლეთ საქართველოს დაკარგვის შიშით ყოფილიყო გამოწვეული. შდრ. [1, 67]. ამ დროს ოსმალებს იმერეთზე ხელი ისედაც აღარ მიუწვდებოდათ, ხოლო მათ ხელში არსებულ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის მიმართ რაიმე ამოცანები რუსეთში იმ ეტაპზე არ გააჩნდათ. პეტერბურგში მთელი ყურადღება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დაუფლებისაკენ იყო მიმართული.

მიელო გრ. პოტიომკინისაგან. ამ უკანასკნელს კი უნდა გაეთვალისწინებინა ეკატერინე II-ის ადრე გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუკი ის უზრუნველყოფდა მშვიდობის დამყარებას ერეკლესა და სოლომონს შორის და ამისათვის იკისრებდა თავდებობასაც მეფეთა ურთიერთუკმაყოფილების შემთხვევაში და ასევე – მათ შორის არბიტრის როლსაც [7, 30-31]). პ. პოტიომკინი, გამოხატავდა რა კმაყოფილებას, იმერეთის მეფის მიერ იმპერატორის სამსახურისადმი სწრაფვის გამო (რის შესახებაც პოლკ. ტომარას უამბნია მისთვის), მეფეს საჩუქრად სხვადასხვა ნივთებს უგზავნიდა[1].

სოლომონ I სახტად დარჩა, როცა პ. პოტიომკინისაგან ერეკლე II-ის ეკატერინეს მფარველობაში მიღების ამბავი შეიტყო[2]. მისთვის ამგვარი მფარველობის მარტოოდენ სურვილი გაიმეტეს, რასაც არანაირი საქმიანი წინადადებები არ სდევდა თან. ეს კი მფარველობაში მიღებაზე უარის ტოლფასი იყო. იმერეთის მეფისთვის ცხადი იყო, რომ იგი რატომღაც „მოტეხეს". სანამ ერეკლე II მასზე სხვადასხვა საშუალებით განხორციელებული ზეწოლის შედეგად გააგზავნიდა რუსეთში თხოვნას მფარველობაში მიღების თაობაზე,

---

[1] ამ საჩუქრებს შეადგენდა ოქროს საათი, მრგვალი სათუთუნე, სიასამურისა და კვერნის ბეწვეული, დასალუქი ცვილი, ქაღალდები და კალენდარი. იხ. [9, 220-221]. წერილის პუბლიკაციაში მისი დაწერის თარიღი აღნიშნული არ არის. დოკუმენტების კრებულის გამომცემლები მას 2 აგვისტოთი ათარიღებენ, თუმცა არ უთითებენ, რის საფუძველზე. საპასუხო წერილში სოლომონ I კი აღნიშნავს, რომ მან პ. პოტიოკინის 31 ივლისის წერილი მიიღო აგვისტოს 14-ში [9, 233]. ვინაიდან აქ უდავოდ ერთ და იმავე წერილზეა საუბარი, უპირატესობას ვანიჭებთ თანადროულ მონაცემს (31 ივლისს), მით უფრო, რომ ზემოაღნიშნულ რუსულ გამოცემაში წერილის 2 აგვისტოთი დათარიღების საფუძველი გაურკვეველია.

[2] ვ. მაჭარაძე წერდა, რომ 12 ივლისს მიწერილ თავის წერილებზე „*სოლომონ მეფეს რუსეთიდან პასუხისათვის არ დაუცდია*" და „*როგორც კი ქართლ-კახეთის მიერ რუსეთთან ტრაქტატის გაფორმების ამბავი შეიტყო*", 23 აგვისტოს პ. პოტიომკინს მან ახალი წერილი გაუგზავნა. იხ. [1, 67]. პატივცემულ მეცნიერს ეტყობა მხედველობიდან გამორჩა პ. პოტიომკინის 31 ივლისის (თუ 2 აგვისტოს) ზემოხსენებული წერილი, რომელიც სწორედ სოლომონის 12 ივლისის წერილის საპასუხოდ დაიწერა და იმერეთის მეფემაც სწორედ ამ წერილით 14 აგვისტოს მიიღო ოფიციალური შეტყობინება აღნიშნული ტრაქტატის გაფორმების შესახებ.

სოლომონს ასეთი მიმართვა უკვე ორჯერ ჰქონდა გაგზავნილი. ახლა კი ესოდენ სასურველი ხელშეკრულება იმერეთის მეფისათვის კვლავ მიუღწეველ მიზნად რჩებოდა. იმერეთთან ტრაქტატის საკითხი გაურკვეველი მიზეზებითა და გაურკვეველი დროით კვლავ გადადებულიყო, მაშინ როცა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა რუსეთს თავის თავზე უკვე ოფიციალურად აეღო (სხვა საკითხია, რა შედეგები მოუტანა ერეკლეს სამეფოს ამ „დაცვამ").

23 აგვისტოს იმერეთის მეფემ მორიგი წერილით მიმართა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს. ამ წერილით სოლომონ I დიპლომატიურ მადლობას უცხადებდა პ. პოტიომკინს *„მეგობრობის გამოხატვისა და მიცემული რჩევისათვის, ესარგებლა ერეკლეს მსგავსი ხვედრით,"* თუმცა კი, იქვე ვერ მალავდა უკმაყოფილებასაც: როგორ მიაღწია *„ჩვენმა ძმამ ერეკლემ ტრაქტატის დამტკიცებას"*, როცა დიდი ხანია, ჩვენ თავსა და ქვეყანას რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომად და მფარველობის ქვეშ მივიჩნევთო. სოლომონი სიტყვებს არ იშურებდა იმპერატორისადმი თავის ერთგულების საჩვენებლად და გაოცებით კითხულობდა, თუ რაში გამოიხატებოდა მისადმი *„ყოვლადმოწყალე ხელმწიფის კეთილი ნება"*, ან თუნდაც იმას მაინც რატომ არ ეუბნებოდნენ, რას ითხოვდნენ მისგან, რისი დაუყოვნებლივი შესრულების მზადყოფნასაც წინასწარ აცხადებდა. მეფე ასევე ითხოვდა, მისთვის ეცნობებინათ ერეკლესთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა[1]. სოლომონ I სრულ მზადყოფნას გამოთქვამდა უშუალოდ ტრაქტატის დასადებად რუსეთთან ოფიციალური მოლაპარაკების დასაწყებად, როცა პ. პოტიომკინს იმერეთში უმოკლეს დროში როტმისტრ კაზიხანოვის გაგზავნას თხოვდა, რათა შემდეგ თავისი წარმომადგენლებიც

---

[1] არა გვგონია, სოლომონი ეშმაკობდა, როცა რუსი მოხელეებისაგან ტრაქტატის პირს ითხოვდა, იმ მოტივით, რომ მას არაოფიციალური წყაროებით უკვე ეცოდინებოდა მისი შინაარსი. შდრ. [4, 259]. აღნიშნული წერილის დაწერამდე (23 აგვისტო) იმერეთის მეფის ყურამდე შეიძლება მართლაც მიეღწია ერეკლესთან გაფორმებული ტრაქტატის ზოგად შინაარსს, მაგრამ სრულიად ბუნებრივია, როცა მეფე რუსული მხარისაგან ითხოვდა ოფიციალურად დადასტურებულ დოკუმენტს, რაც მეფეს ტრაქტატზე ნათელი წარმოდგენის შექმნის საშუალებას მისცემდა. სოლომონი, რომელიც თვითონაც აპირებდა მსგავსი ხელშეკრულების დადებას, ლოგიკურია, რომ უაღრესად დაინტერესებული იყო, სრულად გარკვეულიყო მის ჭეშმარიტ არსსა და ცალკეულ დეტალებში.

გაეგზავნა ტრაქტატის გასაფორმებლად [9, 233-234][1].

რამდენიმე დღის შემდეგ (3 სექტემბერს) სოლომონ I უკვე უშუალოდ გრ. პოტიომკინს მიმართავს. წერილის დასაწყისში მეფე იმედს გამოთქვამს, რომ „დიდი თავადის" მეშვეობით „ყოვლადმოწყალე დედოფალი" თავისი ყურადღებითა და მფარველობით გაუწევს ყოველგვარ დახმარებას, რაც კი მისი სამშობლოსათვის სასარგებლო იქნება. აგრეთვე ეტყობა, აგვისტოს ბოლოსათვის იმერეთის მეფეს ამბავი მისვლია, რომ დადიანი რუსეთში ელჩობის გაგზავნას აპირებდა, რათა საიმპერატორო კარის შუამდგომლობით იმერეთის მეფისაგან სრული დამოუკიდებლობისათვის მიეღწია. ამის თაობაზე მოახსენებდა სოლომონი იმპერიის დიდმოხელეს და მოითხოვდა, რომ დადიანის ელჩებისათვის ეპასუხათ, რომ რუსეთში მხოლოდ ერთ მეფეს – სოლომონს აღიარებდნენ და ყველა მისი მოწინააღმდეგე რუსეთის ხელმწიფის მტრად იქნებოდა მიჩნეული [9, 234-235].

კავკასიის ხაზის სარდალი იმერეთის მეფის წერილმა ძალზე დააფიქრა. იგი ერთი მხრივ ხედავდა სოლომონ I-ის დიდ წადილს რუსეთთან ტრაქტატის გასაფორმებლად, რაშიც ასევე დიდად იყო დაინტერესებული საიმპერატორო კარიც და იქიდან მას დავალებაც ჰქონდა მიცემული იმერეთის მეფის რუსეთის ერთგულებისაკენ მისადრეკად, მეორე მხრივ, კი პეტერბურგიდან უკვე მიეღო მითითე-

---

[1] იგივე წერილის, ოღონდ სხვა თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს სოლომონ I-ის წერილის შემდეგი პუბლიკაციაც. ამის საფუძველს იძლევა ორი გარემოება: 1. წერილის ტექსტი შინაარსობრივად პირდაპირ მიყვება ზემოაღნიშნული წერილის ტექსტს. მათ შორის განსხვავება გამოიხატება მხოლოდ სტილში, ოღონდ ამ უკანასკნელ ვარიანტს ბოლოში აკლია მეფის მადლობა გამოგზავნილი საჩუქრებისა და მკურნალისათვის; 2. ორივე წერილი პ. პოტიომკინის მიერ ერთი და იმავე დღეს, 6 სექტემბერს არის მიღებული. იქვე აღნიშნულია, რომ პირველი ვარიანტი უთარგმნია პოლკის კვარტერმაისტერ მიხეილ მარკოვს, ხოლო მეორის მთარგმნელი მითითებული არ არის. ვინაიდან დედანში წერილის დაწერის თარიღი, ჩანს, არ არსებულა, გამომცემლებმა მისი დაწერის მხოლოდ ზედა ზღვარი – წერილის მიღების დრო, 6 სექტემბერი მიუთითეს [შდრ. 9, 237]. წერილის დაწერის თარიღად შეცდომით ადრესატის მიერ მისი მიღების თარიღს, 6 სექტემბერს უთითებს ი. ცინცაძეც [6, 114]. შესაძლებელია, მეცნიერის ეს შეცდომა მართლაც ნ. დუბროვინის შენიშვნიდან [იხ. 8, 55, შენ. 3] მომდინარეობს [1, 69, შენ. 1].

ბა, შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად აქამდე არსებული ხელისშემშლელი გარემოებების არსებობის თაობაზე [11, 155; 2, 113]. პ. პოტიომკინი შიშობდა, რომ ტრაქტატის დადების მორიგ გადადებას რუსეთის მიმართ მეფის გულაცრუება არ მოჰყოლოდა. ამიტომ მიუწერია, რომ სოლომონს სანდო კაცი გამოეგზავნა მასთან გასაფორმებელი ტრაქტატის საკითხზე მოსალაპარაკებლად, როგორც ამას თვითონ მეფე ითხოვდა, იმ იმედით, რომ ეს ნაბიჯი მეფეს გაუთავებელი სიტყვიერი დაპირებებიდან უშუალოდ საქმეზე გადასვლის შთაბეჭდილებას შეუქმნიდა. ყოველივე ამის თაობაზე წერილის მიღების (6 სექტემბერი) მეორე დღესვე პ. პოტიომკინი უფროს ბიძაშვილს დაწვრილებით მოახსენებდა და ხაზს უსვამდა, რომ მისი 3 აპრილის მითითების შესაბამისად, მონდომება არ დაუკლია, სოლომონ მეფე რუსეთის მფარველობაში მისაღებად რომ წაექეზებინა, მაგრამ საამისოდ მას ზედმეტი გარჯა არ დასჭირვებია, რადგან თვით სოლომონიც ამისათვის დიდად მოწადინებული აღმოჩენილა. იმერეთის მეფის ელჩის მოსვლამდე კი სარდალი გრ. პოტიომკინისაგან ითხოვდა ახალ მითითებებს: ხომ არ შექმნილიყო უკვე ის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება, იმერეთთან ხელშეკრულების გასაფორმებლად რომ იყო საჭირო [14, 260; 1, 68], ხოლო თუ არა, მაშინ სულთნის კართან იმერეთის მეფის რა პირობებით შეთანხმება მიიჩნეოდა დასაშვებად [14, 260; 10, 193].

ამ დროს კი, როგორც ირკვევა, რუსეთის საიმპერატორო კარზე იმერეთის მიმართ ნახევარი წლით ადრე შემუშავებული მკაფიო დამოკიდებულება კვლავინდებურად უცვლელი რჩებოდა. სანამ სოლომონ მეფისა და პ. პოტიომკინის წერილებს მიიღებდა, გრ. პოტიომკინი ალ. ბეზბოროდკოს, რომელიც იმერეთთან ტრაქტატის დადებას უკვე შესაძლებლად მიიჩნევდა, აზრს უწუნებდა და ამ ნაბიჯის ჯერ ისევ არასაიმედოობაზე მიუთითებდა [15, 73; 10, 193-194].[1]

---

[1] ნ. დუბროვინთან წერილის დაწერის თარიღად 1785 წლის 5 სექტემბერია მითითებული (იხ. [8, 55], მაგრამ ეს მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, წერილი 1783 წლის 5 სექტემბერსაა დაწერილი. ეკატერინესადმი ბეზბოროდკოს ერთ წერილში იმერეთის მფარველობაში მიღების საკითხის მიმართ საიმპერიო კარზე ადრევე ჩამოყალიბებული აზრია გატარებული („*...იმერეთის მეფე ამჟამადაც მიჰყვებოდა ერეკლეს მაგალითს, ხელს რომ არ გვიშლიდეს მისი პორტასადმი მორჩილება, რომელიც ჩვენი წინამორბედების არაშორსმჭვრეტელობითა და დაუდევრობით, ნათლადაა ჩადებული*

ოსმალეთის დამოკიდებულების ცვლილება იმერეთის სამეფოს მიმართ ყირიმის ანექსიისა და გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ. კავკასიის ხაზის სარდლის შიში იმედგაცრუებული სოლომონ მეფის მიერ რუსეთისადმი დამოკიდებულის შესაძლო შეცვლის გამო უსაფუძვლო არ ყოფილა. სულთნის კარი შეშფოთებული ადევნებდა თვალს რუსეთის ერთდროულ პოლიტიკურ გააქტიურებას როგორც ყირიმ-ყუბანის, ასევე ამიერკავკასიის მიმართულებით. რუსეთის მიერ ყირიმ-ტამანის ანექსიას უმალ მოჰყვა ქართლ-კახეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლაც. დღე-დღეზე აქ, ოსმალეთის საზღვრების სიახლოვეს მოსალოდნელი იყო რუსის ჯარის გამოჩენაც. ამ ვითარებაში იმერეთის მფარველობაში მიღების თაობაზე ინტენსიური მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში ოსმალები შავი ზღვის უკვე აღმოსავლეთ სანაპიროების დაკარგვის უდიდესი საფრთხის წინაშეც დგებოდნენ. რუსეთს შესაძლებლობა ეძლეოდა მომავალში ამ სანაპირო ზოლზე განლაგებული ოსმალური გარნიზონებისათვის ერთდროულად ზღვიდანაც მიეტანა იერიში და ხმელეთიდანაც (იმერლებთან ერთად). ამ შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა, თანდათან რუსეთის ხელში გადასულიყო ყველა ზღვისპირა ოსმალური ციხე უკვე ტამანიდან ბათუმამდე. ეს კი ოტომანთა იმპერიის სრული კრახის დასაწყისის ტოლფასი იქნებოდა.

ყირიმის მიერთებით რუსეთმა ფაქტობრივად უხეშად დაარღვია ქუჩუკ-კაინარჯის ზავი, ისევე როგორც აინალი-კავაკის[1] კონვენცია. კონსტანტინეპოლში ძნელი მისახვედრი არ იყო, კავკასიის მიმართულებით რუსეთის ყველა პოლიტიკური ნაბიჯი ამიერიდან უშუალოდ ოსმალეთის წინააღმდეგ რომ იქნებოდა მიმართული. ასეთ პირობებში იმერეთის მეფის ასე ერთბაშად გახშირებული დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის დიდმოხელეებთან, რაც ცხადია, ოსმალეთისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, ამ უკანასკნელი-

---

კაინარჯის ტრაქტატში", იხ. [16, 469]). ბეზბოროდკოს წერილს თარიღი არ ადევს, თუმცა ო. მარკოვა მის შექმნას ზოგადად 1784 წლით ათარიღებს და მის საფუძველზე ასკვნის, რომ ბეზბოროდკოს გრ. პოტიომკინის შეხედულება უნდა გაეზიარებინა. იხ. [10, 194].

[1] 1779 წლის 10 მარტს აინალი-კავაკში (სულთნის საზაფხულო რეზიდენცია) ოსმალეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად ორივე მხარე აღიარებდა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა ყირიმის საშინაო საქმეებში ჩარევაზე [17, 688].

სათვის სულ უფრო შემაშფოთებელ იერს იძენდა.

ამდაგვარად, ერთ დროს უძლეველი პორტა მეტისმეტად მძიმე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებები მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. სულთნის კარი მზად ვერ დახვდა 1783 წელს ყირიმის სახანოსა და მიმდებარე მიწების ანექსიითა (8 აპრილი) და სუვერენული ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლით (24 ივლისი) რუსეთის პოზიციების სერიოზულ განმტკიცებას ოსმალეთის საზღვრების უშუალო სიახლოვეს. რუსეთშიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ოსმალთა რეაქციას. როგორც რუსი რწმუნებული კონსტანტინეპოლში, ს. ბულგაკოვი ეკატერინეს კარს ატყობინებდა, 31 აგვისტოს ოსმალეთის უმაღლეს სასულიერო იერარქებს თავიანთ საგანგებო შეკრებაზე კატეგორიულად განუცხადებიათ, რომ რუსეთის ქმედება ყირიმის მიმართ სრულად ეწინააღმდეგება მასთან დადებულ ხელშეკრულებას და რომ ისლამი ვერ შეეგუება თანამორწმუნე ყირიმელების ყოფნას რუსეთის ქვეშევრდომობაში. გარდა ამისა, – აცხადებდნენ სასულიერო მეთაურები, – რუსეთი დროდადრო ახალ-ახალ მოთხოვნებსაც წამოაყენებს, სანამ თვით კონსტანტინეპოლსაც არ ჩაიგდებს ხელში. ამიტომ მუსლიმ ლიდერებს მოუთხოვიათ, რომ მთავრობას დაუყოვნებლივ დაეწყო ომისათვის თადარიგის დაჭერა. იმპერიაში საომარი სამზადისიც დაიწყო: ნაბრძანები იყო ჯარის მობილიზაცია აზიასა და რუმელიაში, მიმდინარეობდა იანიჩართა დიდი რაზმების გადაადგილება, ხაზინიდან გამოიყო საჭირო თანხებიც, სამხედრო აღჭურვილობა იგზავნებოდა ხმელეთით ერზრუმისაკენ და ზღვით – სინოპისა და საიგალისკენ. ამ ფორიაქის ფონზე აღელვებულ ხალხში ვრცელდებოდა ჭორები, რომ თითქოს აზიის მხარეში ომი უკვე დაიწყო, რადგან აღმოსავლეთიდან ქართველები რუსებთან ერთად თავს დასხმიან ოსმალურ სამფლობელოებს და ომი საცაა დუნაიზეც გაჩაღდებაო [13, 239-246; 1, 64-65].

მიუხედავად იმისა, რომ სულთნის მთავრობას რუსეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში ავსტრიის იმპერატორისაგან ნეიტრალიტეტის პირობაც მიუღია, ხოლო საფრანგეთი სამხედრო ხომალდების გადაცემას შეპირებია, საერო ხელისუფლებას რუსეთთან ომის დაწყება მიზანშეწონილად მაინც ვერ მიუჩნევია. იმპერია შინაპოლიტიკურ კრიზისს მოეცვა, ქალაქებში შავი ჭირი და შიმშილობა მძვინვარებდა [13, 239-246; 1, 64]. ამ ვითარებაში მთელი ეს საო-

მარი სამზადისი თავდაცვითი მიზნით მიღებული გადაწყვეტილების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე – შეტევითისას. ამას უნდა ადასტურებდეს ელჩ ბულგაკოვის შეტყობინებაც, რომ სასულიერო ლიდერთა სურვილის წინააღმდეგ, სულთანი და მისი მთავრობა ომის თავიდან აცილებას ამჯობინებდნენ, თუკი ქართველები რუსებთან ერთად არ დაესხმოდნენ მის მიწა-წყალს [13, 247-248; 1, 66]. როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლში ძალიან უფრთხოდნენ უკვე რუსეთის ოფიციალური ქვეშევრდომის, ქართლ-კახეთის ჯარის შემოჭრას და ეს უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ რუსეთ-ოსმალეთის წინა ომის დროს ერეკლეს ლაშქრის მწვავე სამხედრო რეიდებს ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე.

ვინაიდან აქამდე მიღებული მძიმე პოლიტიკური მარცხის სამხედრო გზით გამოსწორება სულთნის კარისათვის ჯერ ისევ ზედმეტად სარისკო საქმედ მოჩანდა და აქამდე იმერეთის იარაღით დამორჩილების ყველა მცდელობაც წარუმატებლად დამთავრებულიყო, იმისათვის რომ რუსეთის ქვეშევრდომაში იმერეთის გადასვლა და აქ რუსის ჯარის შემოსვლა მაინც აღეკვეთა, სტამბულშიც ერთბაშად შეიცვალა პოლიტიკური სტრატეგია ამ ქართული სამეფოს მიმართ. ოსმალეთმა ხელი აიღო იმერეთის დამორჩილებისა და ხარკის გადახდის იძულების ადრე წარმოებულ ისედაც უშედეგო პოლიტიკაზე. მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოდან ხარკის მოთხოვნის უფლება კაინარჯის ხელშეკრულების პირობებით უკვე ისედაც დაკარგული ჰქონდა. გაძლიერებული რუსეთის ესოდენი გააქტიურებისა და ამის შედეგად, ქართლ-კახეთის სახით, შედარებით საიმედო მეზობლის დაკარგვის ფონზე (გეორგიევსკის ტრაქტატი) ოსმალეთისთვის იმერეთის სამეფოს ფრიად მნიშვნელოვანი ფასი დაედო და ერთგვარი ბუფერის როლიც დაეკისრა. ჟამთა ცვლის ირონიით, პორტასათვის ამ სამეფოს სუვერენიტეტის შენარჩუნება ისეთი სასურველი გახდა, როგორც არასდროს. ოსმალეთის ხელისუფლება მზად იყო სოლომონ მეფესთან მრავალ საკითხში წასულიყო მნიშვნელოვან დათმობებზე, ოღონდ კი მისი რუსეთის მფარველობაში, ფაქტობრივად კი ამ უკანასკნელის ქვეშევრდომობაში შესვლა არ დაეშვა. ცხადია, სულთნის კარისათვის ჯერ კიდევ არაფერი იყო ცნობილი რუსეთში შემუშავებული პოზიციის თაობაზე, რაც იმერეთის მფარველობაში მიღების გაურკვეველი ვადით გადადებას ითვალისწინებდა.

იმერეთის სამეფოს მიმართ ოსმალეთის დამოკიდებულების სა-

ფუძვლიანი ცვლილება, პირველ რიგში, ამ სახელმწიფოთაშორის დიპლომატიურ ურთიერთობაზე აისახა. ერთ დროს (რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წწ. ომამდე) ოსმალთა მხრიდან მორჩილების მოთხოვნით იარაღის ჟღარუნის ფონზე, წარბშეკრული ოსმალო ელჩების საშუალებით წარმოებული ჩვეული მოლაპარაკებები საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა. 1783 წლის შემოდგომაზე იმერეთის მეფის კარზე სტუმრობას მოუხშირეს სულთნისა და ფაშების მიერ წარმოგზავნილმა და მდიდრული საჩუქრებით დატვირთულმა მოციქულებმა. პირმღიმარი ელჩები თავიანთ ხელისუფალთა მუქარით სავსე შემონათვალის ნაცვლად ახლა უკვე კეთილგანწყობით აღსავსე წერილებს აახლებდნენ მეფე სოლომონს, რუსეთის არასაიმედოობაზე მიუთითებდნენ, ჩრდილოელი იმპერატრიცასათვის ზურგის შექცევისაკენ მოუწოდებდნენ და ბრწყინვალე პორტასთან მეგობრულ ურთიერთობას სთავაზობდნენ [10, 194; შდრ. 4, 259]. ერთ-ერთი ასეთ ელჩობა ქუთაისში უნახავს სოლომონ I-თან პ. პოტიომკინის მიერ წარგზავნილ ოფიცერ შტედერს. მისი ცნობით, მეფესთან ბათუმიდან წერილებითა და საჩუქრებით მოსულა ფაშის ძმა შვიდი თურქის თანხლებით [14, 320-321; 1, 74].

ს. ბურნაშევი პ. პოტიომკინს აუწყებდა, რომ იმერეთის სამეფო კარს ურთიერთობა ჰქონდა ახალციხესთან და მის მიერ გაგზავნილ მთარგმნელ ტამაზინის იმერეთში ყოფნის დროსაც იქ ჩასულა (ჩანს, ახალციხიდან) ერთი თურქი და 13 ოქტომბერს გაბრუნებულა უკან. როგორც იქ განუმარტავთ, ეს კაცი თურმე ხშირად ჩამოდიოდა მეფესთან, როგორც მისი ძველი ნაცნობი. თუმცა ბურნაშევი ეჭვობდა, რომ ეს ნაცნობობა მხოლოდ საბაბი შეიძლებოდა ყოფილიყო საქმიანი შეხვედრების გასამართად. ეტყობა, რუსი რეზიდენტი შიშობდა, რომ ამ თურქის საშუალებით ახალციხის ფაშას, შესაძლოა, ფარული მოლაპარაკებები ეწარმოებინა იმერეთის მეფესთან.

ზემოხსენებული „თურქი" სტუმარი სოლომონ მეფეს ვერ შეხვდებოდა, ვინაიდან მეფე იმ დროს მძიმედ ავადმყოფობდა და მისი გამგზავრებიდან მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოიკეთა. მაგრამ უდავოა, რომ ოსმალო ელჩებს შესაბამისი პატივით იღებდნენ იმერეთის მეფის კარზეც და სრული დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით ისტუმრებდნენ უკან.

თუმცა ერთი სომეხი ვაჭრის ცნობით, მანამდე კონსტანტინეპოლში ყოფილა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ერთობლივი და დიდი წარმომადგენლობითი ელჩობა (80 თავადის შემადგენლობით),

რომელთაც სულთნის კარი წინასწარ გაუფრთხილებიათ, რომ საქართველოში „დიდძალი რუსის ჯარი" იმყოფებოდა და თუკი რუსეთი ქართველებს აიძულებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომს, ისინიც იძულებულნი გახდებოდნენ, ომში მონაწილეობა მიეღოთ [9, 238][1]. ელჩების დასახელებული რაოდენობა საეჭვოდ დიდი მოჩანს. ამასთან, იმ დროს ჯერ არც რუსეთის ჯარი იყო შემოსული საქართველოში (თუმცა კი მათი შემოსვლის საკითხი გეორგიევსკის ტრაქტატით უკვე გადაწყვეტილი იყო და საამისო სამზადისიც მიმდინარეობდა). თუმცა ამ გარემოებათა გამო სულთანთან ამგვარი ელჩობის გაგზავნაც ვერ გამოირიცხება. შესაძლოა, ქართველი მეფეები თავისთან რუსის „დიდი" ჯარის ყოფნით ოსმალეთს რუსეთთან კავშირის გამო მათ საწინააღმდეგო შესაძლო ქმედებისაგან თავშეკავებისაკენ მიანიშნებდნენ, თან რუსეთ-ოსმალეთს შორის შესაძლო ომის მოლოდინში ერთგვარად თავსაც იმართლებდნენ და იბოდიშებდნენ კიდეც, აქაოდა, თქვენთან ომის სურვილი არა გვაქვს, მაგრამ თუკი ამის გაკეთება რუსეთმა გვაიძულა, მისი ამოდენა ჯარი აქა დგას და აბა სხვა რაღა გზა დაგვრჩებაო.

მაშასადამე, ყირიმის ანექსიის გამო რუსეთთან ომის ზღვარზე მყოფი ოსმალეთის ხელისუფლება მთელ თავის დიპლომატიურ ძალისხმევას მიმართავდა სოლომონ I-ის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და რუსეთისაგან მის ჩამოსაშორებლად. საამისოდ კი ტკბილ სიტყვებსა და საჩუქრებსაც არ იშურებდა იმერეთის მეფისადმი. მაგრამ მათი ეს ყოველგვარი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა – როგორც შემდეგ გამოჩნდა, მეფე ერთხელ უკვე აღებულ პოლიტიკურ კურსზე მყარად იდგა და მისგან გადახვევაზე არცკი ფიქრობდა.

ამრიგად, ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთმა ქუჩუკ-კაინარჯის ზავით მის მიერ ოსმალეთის ქვეშევრდომად აღიარებული იმერეთის სამეფოს მფარველობა-ქვეშევრდომობაში მიღებისაგან კვლავაც თავი შეიკავა, რათა ოსმალეთისათვის მასთან ომის დაწყების დამატებით საფუძველი არ მიეცა და ყირიმი უბრძოლველად დაენარჩუნებინა. სამაგიეროდ, რუსეთის ხელისუფლებამ მონდომება არ დაიშურა, ქართლ-კახეთის სამეფოზე თავისი გავლენის ოფიციალურად

[1] ეს ცნობა დათარიღებული არ არის, მაგრამ აშკარად 8 სექტემბრამდეა ჩაწერილი, ვინაიდან ამ დღით დათარიღებული რაპორტით ეს ამბავი მოხსენდა გრ. პოტიომკინს.

დასადასტურებლად. მართალია, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების გამო ოსმალეთის სულთნის კარმა მისთვის საბოლოოდ ომის გამოცხადება ვერ გაბედა, თუმცა აქტიურად დაიწყო ერთი მხრივ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების გამაგრება და მეორე მხრივ ერთიანად შეცვალა პოლიტიკა იმერეთის სამეფოს მიმართ და დიპლომატიურ ძალ-ღონეს არ ზოგავდა იმერეთის მეფის მისამხრობად. იმერეთ-ოსმალეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება რუსეთის საიმპერატორო კარის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა [4, 258], ამიტომ იქიდან ცრუდაიმედებების გაცემითა და საპასუხო დიპლომატიური გააქტიურებით ცდილობდნენ იმერეთის სამეფო კარზე ანტიოსმალური და პრორუსული განწყობილებების შენარჩუნებასა და შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო გაღვივებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბილისი, 1968.
2. დ. მერკვილაძე, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების საკითხი (1781-1783 წლის დასაწყისი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1-2, თბილისი, 2018.
3. დ. მერკვილაძე, იმერეთის სამეფოს საკითხი ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებაში, ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, თბილისი, 2017/2018.
4. მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბილისი, 1988.
5. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1990.
6. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960.
7. Грамоты и др. исторические документы XVIII столетья относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. II, вып. II, СПб, 1902.
8. Дубровин И., История войн и владычества русских на Кавказе, т. II, СПб, 1886.
9. Из истории российско-грузинских отношений, сборник документов, Москва, 2014.
10. Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения в

XVIII веке, Москва, 1966.
11. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. П. Г. Буткова, ч. 2, СПб, 1869.
12. Новые Матеріалы для жизнеописанія и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г., Собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевъ, подъ редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербург, 1901.
13. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ფონდი ВУА (Военно-ученый архив), საქმე 243.
14. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ფ. 52, აღწ. 194, საქმე 286.
15. Российский государственный военно-исторический архив (РГВИА), ფ. 52, აღწ. 1/194, საქმე 310, ნაწ. 1.
16. Сборник Русского исторического общества (РИО), т. 26, СПб., 1879.
17. Симоненко Р. Г., Айнали-Кавакська конвенція 1779, Енциклопедія історіі Украіни, т. 1, Киев, 2003.

Davit Merkviladze
Doctor of History, National Assessment and Examinations Center, History Group Specialist

The Issue of Adoption of Imereti Kingdom in Russian Protectorate in April-September 1783

Summary

The adoption issue of the Imereti Kingdom in the protectorate of the Russian Empire in 1783, on the background of annexation of Crimea by Russia (April 8) on the one hand and the adoption of the Kartli-Kakheti Kingdom in the protectorate of Russian (August 23) on the other hand is discussed in the given article. The diplomatic correspondence between the Russian government officials and King of Imereti Solomon I in abovementioned period (April-September 1783) is analyzed as well.

Despite the request of the King of Imereti Solomon and the Russian

government's desire, to adopt the Imereti Kingdom in the protectorate of the Impire, was again postponed due to fear of Ottoman irritation and King Solomon received only verbal promises.

As for the Ottoman government, which faced difficult challenges because of the Russian political activities in its neighborhood, was ready to make many important concessions with the King of Imereti to take him out the Russian political orientation through the diplomatic efforts.